№ 101, მაისის 17, პარასკევი. 1866—1885 მაისის 17, პარასკევი. № 101.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ТИФЛИСЪ, ред. „ДРОЭБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. ორცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

თავადის ნიკოლოოზ დავითის-ძის ბაგრატიონ-მუხრანსკის დასაფლავება მოხდება მცხეთის სობოროში მაისის 18-ს, შაბათს საათის 10-ზე დაიწყება წირვა, —შვილი და ძმა მიცვალებულისა აუწყებენ ამაზედ ნათესავთა და ნაცნობთ, რომელნიც მოისურვებენ უკანასკნელი პატივი სცენ მიცვალებულს. (1—1)

## ბრძანება

### კავკასიის სამხედრო ოლქისადმი

### № 119.

**მაისის 11-სა დღესა, 1885-სა წელსა ქალაქს თბილისს.**

მაისის 8-ს, დავათვალიერე მათი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის თავადის **გიორგი მიხეილის-ძის**, ქართველთა ქვეითი დრუჟინა. თუმცა დრუჟინაში ასი კაცი მხოლოდ ეხლა ხანს ჩაწერილა და მაშინვე ჩაყენებულა რაზმში; თუმცა სულ უკანასკნელ დროს ჩამოვიდა ეს ჯარი თბილისში თავის შტაბ-სადგურის ყვარლიდგან,—დათვალიერების დროს იგი წარმოადგენდა მშვენიერს სანახაობას. დრუჟინელებს ვაჟკაცური შეხედულობა ეტყობოდათ და სწორედ დადიოდენ, როდესაც ორჯელ ცერემონიალურის მარშით, ჯერ ნახევარ-ნახევარ სოტნობით და შემდეგ შეჯგუფებულის კოლონით გაიარეს. ყველაზედ საყურადღებო იყო, მამაცური, გაკრული ნაბიჯი დრუჟინელებისა.

გულითადს მადლობას ვუძლვნი, დრუჟინის კომანდირს პოლკოვნიკს თავად ერისთავს, ჩაბარებულის ჯარის ჩინებულის მოწყობილებისა და გაწვრთვნისათვის. დიდს მადლობასვე ვუძლვნი თავად ერისთავის თანაშემწეთა ასის თავებს და დრუჟინის დანარჩენს აფიცრებს, რომელთა გულმოდგინე მეცადინეობა უნდა იყოს მიზეზი, რომ დრუჟინა ასეთს ჩინებულს მდგომარეობაშია.

მამაც მედრუჟინეთ ვუცხადებ ჩემს გულითადს და გულწრფელს მადლობას.

განსაკუთრებით მოხარული ვარ ამასთანავე გამოვაცხადო ერთგულ ქართველების დაუზარებლობა პირველსავე მოწვევის დროს ჯარად გამოსვლაზედ; ამან ცხადად იჩინა თავი როდესაც უკანასკნელ ხანს ქართველთა დრუჟინის შევსება დაგვჭირდა.

ეს მოქმედება ქართველთ ეხლანდელის თაობისა მოჰგონებს, რომ ისინი შთამომავალნი არიან იმ წარჩინებულ წინაპართა, რომელნიც ისეთის ერთგულებით და თავ-განწირვით, კავკასიის წარჩინებულ ჯარებთან ერთად ღირსეულად იცავდენ პატივს და დიდებას თავიანთ სამშობლოისას და იყვნენ ყოველთვის უერთგულესნი მოსამსახურენი და შვილნი რუსეთის ხემწიფისა.

ბრძანება ესე გადათარგმნილ და წაკითხულ იქმნას ქართველთა მთელის დრუჟინის წინაშე.

ჯარების მთავარ-სარდალი
გენერალ-ადიუტანტი
თ. დონდუკოვ-კორსაკოვი.

## ბათუმის და ახალციხის თავად-აზნაურობა

ქუთაისის თავად-აზნაურთ
ყრილობის საყურადღებოდ

ახალციხის მაზრის თავად-აზნაურობა ორ-წყალ შუაა დარჩენილი. მათი მაზრა მოწერილია თბილისის გუბერნიაზე და თავად-აზნაურობა კი ქუთაისისას ეკუთვნის. ქუთაისზე დაშორების გამო, მაზრა ადმინისტრატიულად თბილისის გუბერნიაში მოჰყვა და თავად-აზნაურობა იმავე დაშორების მიზეზით ქუთაისს ვერ მიდის და გარეთ დარჩენილია.

ეს გარემოება სასურველი არ არის, მეტადრე იმის გამო, რომ მრავალი თავად-აზნაური ახალციხის მაზრისა მამჰმადიანია და ქვრივობით მონაწილეობა ვერ მიუღია თავად-აზნაურთა ყრილობაში და სჯაში ისეთ საგნებზედ, რომელნიც მისთვის დიდს საჭიროებას შეადგენენ: მაგალითად თავად-აზნაურობის წოდებაში შესვლა, შვილების სასწავლებელში მიცემა სახემწიფო ხარჯით, როგორც ეს შეუძლიანთ სხვა მუსულმან თავად-აზნაურთა თბილისის გუბერნიისა.

ამ გვარსავე გარემოებაში არიან ბათუმის მხრის თავად-აზნაურები. როგორც გაგვიგონია და ნამდვილად ვიცით ძველ თავად-აზნაურთა გვარებს აჭარისა, ქობულეთისა, თვით ბათუმის მხრისა, შავშეთისა და ლივანასი (ართვინისა) ჰსურსთ თავად-აზნაურთ მამა-პაპეულ გვარებში მიღებულ იქმნენ, მიეცესთ უფლება თავიანთ მეგვარეთა, რომ შვილებს სასწავლებლებში გზა გაეხსნას.

ეს საგანი ისეთი ყურადღების მისაქცევი საგანია, რომ მასზე ლაპარაკი უეჭველად საჭიროა ქუთაისის თავად-აზნაურთა ყრილობაში.

ახალციხის და ბათუმის ქრისტიანი და მუსულმანი ქართველთ თავად-აზნაურობა ისეთს მდგომარეობაშია, ისე მოწყვეტილია თბილისის და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურობისაგან, რომ რაც უნდა უკან ჩამორჩენილი იყოს ჩვენი თავად-აზნაურობა რუსე-

## ტყვის სიმღერა

ვინა სთქვას, ვინ გაიხსენოს
ამბავი გარდასულისა?
ტრფიალთა საით სად იგრძნონ
ღნობა ერთგულის გულისა,—
აქით ვინ გადაიტანოს
ამბავი დაკარგულისა!

ვტირი და ვტირი ბეჩავი,
შუქი არ ვიცი მზისაო...
სადა ვარ გადმოვარდნილი
მე სადაური წყლისაო!
ფრინველნო, გემუდარებით
მარქვით რამ ჩემის მხრისაო.

მიამბეთ ჩემს სამშობლოში
წყარონი კიდევ დიანო?
მზე, მთოვარე და ვარსკვლავნი
ცაზედ კიდევა ჰკრთიანო?
თავზედამც შემოგევლები,
ჩემო ქვეყანავ მთიანო!

ნუ ამირიდებთ, ფრთოსანნო,
ტყვესთან იქონიეთ ზავია;
ბეჩავს დედა-ჩემს უთხარით
არ ჩაიქოლოს თავია;
უამბეთ, ცოცხალიაო,
შემოიძარცოს შავია.

დრო მოვა, ცა დაიელნებს,
ბარად წამოვა ცვარია;
დაიხოშება ლურბლები,
მოჰსკდება ნიავ-ღვარია;
დალისტნის არე-მარესა
დაანიავებს ქარია....

ბაჩანა.

1885 წ.

## ხმა ქუთაისიდამ

საყოველთაო ქესატობა.—პარიკელი პაწაწინა მწვანე კაცები.—მაისის ათი და პირველი სხდომა.—დარბაისელი ქალისა და კაცის ბაასობა ევსტათი მჭედლიძეზე.—ერთად-ერთი გულ-უხვი კაცი, როდესაც ქვეყანა გაქესატებულია.

ბატონო მკითხველო! მოგეხსენებათ, რომ საზოგადოდ დიდი ქესატობა არის. ყველგან უჩივიან მას: ქალაქებში, დაბებში და სოფლებშიაც. განსაკუთრებით-კი ეს სენი ჩვენს ქუთაისში მეფობს,—უმაღლეს ხარისხამდე მიღწეულია. ასე რომ პარიკელი პაწკინტელა მწვანე კაცები თავიანთ ერთი ბეწვა მწვანე ფრაკებით აქაც გვესტუმრენ. იგინი მარდად დახტიან ბანიდამ ბანზე და ჩასძახიან ნიშნგებით მცხოვრებლებს ბუხრის თავიდამ: „გაქესატდი, თუ არაო!“ ვინც გაქესატებულია კიდეც,— და „გაქესატდებიო!“ ვინც ჯერ კიდევ მარჯვედ არის.

ქესატობას, რასაკვირველია, მოწყენილობა მოსდევს. მოგახსენებენ: იგინი და-ძმანი არიანო, მერმე ტყუპად გამოჩეკილი. ეს გამართლდა, სრულის სინამდვილით ქუთაისში. ქალაქი დაღვრემილია, უფერული და ულაზათო. მხოლოდ ერთად ერთი იმედი გვქონდა: ჯერ ბანკის სხდომებს მოველოდით, მერე თავად-აზნაურობისას. ამ იმედით ერთმა გაქესატებულმა სასტუმროს უფროსმა სამეფო სახლი აილო იჯარით. იქ არტიანკებიც იმყოფებიან: ისინიც სხდომებს ელოდებიან და აპირობენ გააქესატონ ისედაც გაქესატებული ხალხი. ამას დასძინეთ ის გარემოება, რომ ამ დღეებში ოდესიდამ დიდი ცირკი გვეწვევა: სამოცი ცხენით და ოთხასი არტისტით.

—

პირველი სხდომა გახლდათ კიდეც. გაგვითენდა მშვიდობით მაისის ათი. მშვიდობით იმიტომ, რომ ცხრას არასფერი მომხდარა არც ღირს შესანიშნავი, არც ღირს სამწუხარო. დილის ათს საათზე ქალაქის ბაღში შემოვიდენ ერთი ორიოდ სოფლელი ჩოხოსნები, ჯერედ ბავშვები (გნებავთ ახალგაზდა უწოდეთ: ჩვენ'ში მალე მოდიან ასაკში). ესენი, რასაკვირველია, სხდომებზე დაესწრებიან. მოხუცებულები ესე იგი მშობლები აღარ გაურჯიათ, ანუ უკედ ვსთქვათ, არ გამოუშვიათ ქესატობის „გადამკიდე“. ამ მეკენჭეებს მოუყრიათ თავი ერთს ადგილას და კითხულობენ ბანკის წლიურს ანგარიშს. მიაღწიეს იმ ადგილამდე სადაც წმინდა მოგება სწერია მომსხო ციფირებით. „წმინდა მოგება შეადგენს 13,000 მან.,—წაიკითხა ვილაცამ.

— ოო, ძალიან მოუგია! წარმოსთქვა ერთმა მეკენჭემ.

— გაკვირვებასა ვარ, რა სახლში დაეტია მაგოდენა ფული, ხუმრობა ხომ არ არი,—დაუმატა მეორემ.

— რა ვიცი, ძმაო, ყოველ წელიწადს კი ზედ ვეჩეხებით ერთმანეთსა და... სთქვა მესამემ.

ამ დროს ამ გროვასთან მოდის ერთი ჩასუქებული ბიჭი, ჩოხოსანი—ლაქია და იტყვის: „ბატონებო! გთხოვეს, მობძანდითო, ბანკის ზალაში“. ამ სიტყვებზე აირევ-დაირევიან ჩვენი მეკენჭეები. ზოგი მიდის, ზოგს არა სურს წასვლა. ეკიდებიან ერთი მეო-

თის გუბერნიებისაზე, მაინც უკეთესს მდგომარეობაშია ვიდრე ახალციხის და ბათუმის თავად-აზნაურობა, სხვათა შორის, ზემოხსენებულ გარემოებისაგამო. საჭიროება ბევრია, მათი ჩამოთვლა გამეორება იქნება ყველა საჭიროების ჩამოთვლისა, რასაც აკმაყოფილებს ამ ჟამად თავად-აზნაურობის წოდების განწესებულება და რისაც დაკმაყოფილება შეუძლიან მომავალში.

საკმაო იქნება დავასახელოთ ერთი მხოლოდ საჭირო საგანი, რომელსაც ზემოდ შევეხეთ, დავასახელოთ განათლება. თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურთ შვილებს გზა აქვთ სახემწიფო ხარჯით მიღებისა. ახალციხის და ბათუმის კეთილშობილთ შვილებს, რადგანაც მათი მამების მდგომარეობა გამორკვეული არ არის, ამის გამო ვხედავთ უსწავლელად დარჩენილებს. ეს მაგალითად მოვიხსენეთ და რამდენი კიდევ სხვა საგანია.

ამისთანა გაჭირებულს მდგომარეობას დახმარება უნდა და ამაზე სჯა ეკუთვნის ქუთაისის გუბერნიის მომავალ ყრილობას. თუ ვინიცობაა ახალციხიდამ თავად-აზნაურთაგანი არავინ გამოჩნდა ქუთაისში ამ საგნის თაობაზე მოლაპარაკე და წინადადების შემტანი, თვით ქუთაისის კეთილშობილებმა, საჭიროა, საგუბერნიო ყრილობას მასზედ ყურადღება მიაქციონ.

საგანი ორია: ერთი რომ ახალციხის (და მასთან მისი ძველი ნაწილი ახალქალაქის) მაზრა რადგანაც მიწერილია თბილისის გუბერნიაზე, თვით ამ მაზრების თავად-აზნაურობაც მიეწეროს თბილისის კეთილშობილთ წოდებას.

მეორე საგანია: რადგანაც ბათუმის ადრინდელი „ობლასტი“ (ეხლა ორი ოკრუგი ბათუმისა და ართვინისა) მიეწერა ქუთაისის გუბერნიასა და რადგანაც იქაურ ბეგებს და აღებს, ძველი თავად-აზნაურობის ჩამომავლებს, თავიანთ გვარების დამტკიცება და ქუთაისის თავად-აზნაურთ წოდებაში ჩაწერა ჰსურთ,—ეს საგანი როგორ დააწყოს ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა კრებამ და დაწესებულებამ?

ბათუმის მხარეში წოდებათა გამოსარკვევად მმართებლობის მხრით კომისია არ არის დადგენილი და თუ თავად-აზნაურობამ იკისრა ბათუმის კეთილშობილთ უფლების გამორკვევის საქმე, მმართებლობას ააცდენს ხარჯსა და მეორეს მხრით თვით ბათუმის კეთილშობილთაც შეუმცირებს სიძნელეს და ხარჯსაც. იგი უფრო მალეც გაათავებს, იმიტომ, რომ მაინც და მაინც თუ მმართებლობისაგან კომისია დაინიშნა, ამ კომისიას მიწერ-მოწერა მოუხდება ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილთ დაწესებულებასთან, რადგანაც ბათუმის თავად-აზნაურთ გვარეულობანი ქუთაისის გუბერნიისას ენათესავებიან.

ახალციხის კეთილშობილთ წოდების საქმე გამორკვეული და გათავებულია. მას თითქმის არა ეჭირება რა გარდა იმისა რომ თბილისის გუბერნიას მოეწეროს და თავისი მაზრის მარშალი ჰყავდეს.

ამ გვარად სასურველია მომავალმა ქუთაისის გუბერნიის ყრილობამ ეს საგანი განიხილოს და თუ ეხლა განხილული ვერ იქმნა, სამის წლის შემდეგ ყრილობისათვის წინადადება მაინც იქმნას შეტანილი, რომ შემუშავდეს ეს საგანი და მმართებლობას წარედგინოს თხოვნა როგორც ახალციხის და ახალქალაქის მაზრების შესახებ, აგრეთვე ბათუმის და ართვინის თავად-აზნაურთა ქუთაისზე მიწერის შესახებაც.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაბრკოლება არა მიეცემა-რა ქუთაისის საგუბერნიო ყრილობას—ახლავე ეს საგანი განიხილონ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისის გუბერნიის თავდგირიძეები, აბაშიძეები, ჯაყელები, ზუგუნავები, შარვაშიძენი, ნიჟარაძეები, მიქელაძეები და სხვანი მრავალნი ისეთისავე სიყვარულით მიიღებენ თავიანთ მუსულმან მეგვარეებს, როგორც ახალციხის მუსულმანი ავალიშვილები, შალიკაშვილები, ორჯონიკიძეები და სხვანი მიიღეს თბილისის გუბერნიის მეგვარეთა. შიში მამულის შესახებ შეიძლება: იქნება წამოგვედავონო, მაგრამ ამ საგანზე ადვილია შეთანხმება, როგორც თბილისის გუბერნიაში მოხდა ახალციხელ თავად-აზნაურებთან. მათ გვარების დამტკიცებასთან ხელწერილები მისცენ თავიანთ მეგვარეთა, რომ სადავო არა აქვთ-რა მათთან არც მოძრავზე და არც უძრავ-ქონებაზე.

ვ.

## შინაური ქრონიკა

მაისის 12-ს სოფ. სვირში დაუსაფლავებიათ მარად მწუხარებით მოსახსენებელი ევსტათი მჭედლიძე. ყვირილის სკოლის მასწავლებელს ბ-ნს ხუსკივაძეს ამ დასაფლავების დროს წარმოუთქვამს გრძნობით სავსე სიტყვა, რომელსაც უადგილობის გამო ვერა ვბეჭდავთ.

თავადს ივანე მუხრან-ბატონს, ახლად ამორჩეულს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლად, მრავალი მოლოცვის ტელეგრამა მოსვლია. აი, ერთი ამათთაგანი, გამოგზავნილი თემირხან-შურიდამ თ. ნიკ. ჭავჭავაძისაგან:

„ეს არის ეხლა მომივიდა ამბავი, რომ თქვენ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლად ამოგირჩიესთ. გულით ვმხიარულობ და გილოცავთ როგორც თქვენ, ისე ჩემთა თანამემამულეთ, რომ მათ თავიანთ მოთავედ აღმოირჩიეს კაცი ღირსეული, მსურველი ჩვენის დასაცემად განმზადებული თავად-აზნაურობის შველისა და ერთგული მისის ინტერესებისა. არ ვეჭვობ, რომ თქვენის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს შესწირავთ წმინდა მოვალეობას და ეცდებით აღადგინოთ ძველად-ძველი, მაგრამ ყოველისფრით გაღარიბებული საქართველოს თავად-აზნაურობა. ამინ.“

ამ დღეებში რამდენიმე თანაგრძნობის ტელეგრამა მოვიდა ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა მივარდნილი კუთხეებიდამ იმ ნადიმის გამო, რომელიც ბ-ნს პოსტ. მამაცაშვილს გაუმართეს. ყველანი სწუხან, რომ დროზე ვერ შევატყეთ ამ ნადიმის ამბავი და მაშინვე ვერ გამოვაცხადეთ ჩვენი თანაგრძნობაო. სხვათა შორის მოვიდა სოხუმიდამ თ. გიორგი რომანისძის ერისთვისაგან მადლობის ტელეგრამა პასუხად ნადიმის დროს გაგზავნილის ტელეგრამისა.

გუშინ ვიქტორ ჰიუგოს დასაფლავების დღეს თბილისის დროგამოშვებით გამოცემათა რედაქციებიდამ შემდეგი ტელეგრამა გაეგზავნა განსვენებულის თაყვანის-მცემელთა გაზეთს „Rappel“-ს:

„პარიჟში. „რაპპელის“ რედაქციას.

---

რეს ჩოხის-კალთებზე და მიერეკებიან ბახკისაკენ. ვინც გზაზე შეეყრებათ თუ მეკენჭეა, (ანუ ესეც არ არის საჭირო), იმათაც მიათრევენ ჯიგლიგ-ჯიგლიგით.

—

შევიდენ ზალაში დალაგდენ სკამებზე. წარჩინებული ალაგები მარშლებს და უხუცესებს დაუთმეს. აქ კი სრულებით არ ეტყობოდათ ქესატობა. აქ დინჯად, დარბაისლურად ისხდენ. ამ დროს ერთი წევრი ზედამხედველი კომიტეტისა გამოაცხადებს: „სხდომები გაიხსნა, რადგან ასი მეკენჭე მოგროვდაო. თავმჯდომარე ბ. მ. გ—ძე მოახსენებს კრებას:

— ბატონებო, სხდომები გაიხსნა! ხვალ ათს საათზე შევიკრიბნეთ. აღგება მეკენჭე, რომელსაც ეტყობა, რომ ლაპარაკისა მხოლოდ პროცესი მოსწონს:

— თუ შეიძლება, ადრე დანიშნეთ! ათი გვიან იქმნება.

ამის პასუხად ერთი მარშალთაგანი თ-დი ვ. ე-ვი მოახსენებს.

— გვიან რას ქვია? საკურდღლედ კი არ მივდივართ.

ატყდება ისევ ჩოჩქოლი და სიტყვის წართმევ-წამორთმევა. ზარა გაირაწკუნებს და თავმჯდომარე გადასწყვეტს: „ათს საათზე შევიკრიბნეთო“. სიჩუმეა. წამოდგება სუტორატორი ს. გ—ვი. და მიმართავს ზედამხედველ კომიტეტის წევრებს, შემდეგი სიტყვებით.

— ბატონებო! თუ შეიძლება ზალა გამოვსცვალოთ. ეს თავზე არ დაგვენგრეს. ამას იგივე მარშალი უპასუხებს:

— მართალი ხარ, მართალი! ამოდენა ხალხს როგორ დაიტევს ეს ზალა.!

ხალხი, როგორც მოგახსენეთ ცოტა იყო და ამიტომ ამ ვითომ ოხუნჯურმა შენიშვნამ სიცილი გამოიწვია. შემდეგ შეუდგებათ ბაასი სუტ-ორატორს და ჭეშმარიტ ორატორს თ. პ. ლ—ძეს. საჭირო არ არის გადმოგცეთ მათი ბაასი, მხოლოდ მოგახსენებთ, რომ კრებამ გადასწყვიტა სახლი ხუროთ მოძღვარს შეამოწმებინონ.

მაშასადამე კრებამ მთელი სხდომა მოანდომა: ა) ხვალ ათს საათზე შევიკრიბნეთო და ბ) ხუროთ მოძღვარს სახლი ვუჩვენოთო. ასე და ამა პირსა ზედა. ქესატობა არის, მა რა ეშმაკია?!

—

კრებებს გარდა, მთელს ქუთაისს სალაპარაკო საგნად საბრალო ევსტათი მჭედლიძის მკვლელობა აქვთ. მე გადმოგცემთ ბაასს ერთი დარბაისელის ქალისა და ახალგაზდა კაცის შორის: კაცს მსხვერპლის მხარე ეჭირა.

— რა ვუყოთ მერმე!... მოჰკლეს პატიოსნებისათვის, მოჰკლეს ჭეშმარიტებისათვის! — ცხარობდა კაცი. დიაღ! ბევრი სარგებლობა მიუტანა მან ჭეშმარიტებას და პატიოსნებას.

ვაი, ბიჩა! რავა ლაპარაკობთ? ჯერ მუცელი გამოიძღეთ მერმე ილაპარაკეთ თქვენ პატიოსნებაზე და ჭეშმარიტებაზე! მშვენიერი ადგილი ეკავა. მოვისვენებდი და ვიქმნებოდი თავისთვის. რად აიმტერა ცა და ქვეყანა? თვითაც გავიხარებდი, სხვასაც გავახარებდი! რატომ ჩემი ქმარი არ მოჰკლეს? იმას უფრო დიდი ადგილი არ ეჭირა? ოკრუჟნოი სუდის გამომძიებელი იყო, მაგრამ ყველანი ემადლიერებოდა — ჩლენებიც და პრეცედატელიც. ახლა იმ კაცს უმფრო დიდი ადგილი მისცეს უშველებელი კანცელარია ხელში აბარია.

— შენს ქმარზე ჩვენ სრულებით არ ვლაპარაკობთ. ბიმეორებთ, მას ემტერებოდენ პატიოსნებისათვის. იგი მოჰკლეს სიმართლისათვის, უბრალოდ. იგი არ იყო ამის ღირსი. იგი არ იყო პირ-მოთნე, მტაცებელი და მექრთამე.

— შემცდარა რომ არ იყო. შემცდარა!... მაგ გვარი კაცი სოფელს ვერ მოსჭამს!...

სჩანს, რომ ამ დარბაისელ ქალსაც ქესატობა აყბედებს.

—

როდესაც მთელი ქუთაისი ქესატობაზე ტრიალობს, სწორედ მაშინ გამოჩნდა ერთი გულუხვი კაცი. ჩვენ, თუმცა „ნამდვილი წყაროებიდამ“ არა, მაგრამ გავიგეთ, რომ მასწავლებელი ბ. ი. ს—ძე თხოულობს მჭედლიძის ალაგს. ამ მასწავლებელს ათას ორასი მანეთი აქვს ეხლა წელიწადში ჯამაგირი და მასწავლებელის თავისუფლება საშობაოდ, სააღდგომოდ და კანიკულებზე; სეკრეტარს-კი ცხრა ასი მანეთის მეტი არ აქვს წელიწადში და შრომა, დამერწმუნეთ, რომ სამი მასწავლებელის ოდენა აქვს. რით ავსხნათ ეს მოვლენა? მე მით ავსხნი, რომ ამ მასწავლებელს ჯერ არ გაუცვნია, თუ რა არის ქესატობა?...

რ. ალისუბნელი.

თბილისის ქართული და სომხური პრესსა თანაზიარი ხდება იმ საყოველთაო გლოვისა, რომელიც გამოიწვია დიდის გენიოსის სიკვდილმა; მისი უკვდავი ქმნილება ერთგვარად სულს უდგამდა მთელს კაცობრიობას.—რედაქციები ჟურნალ-გაზეთებისა: „დროება“, „Иверия“, „ნობათი“, „არძაგანკი“, „მეღუ“, „ნორ-დარი“ და „ალბიური“.

ძმურად და მხიარულად ჩაიარა იმ სადილმა, რომელიც სამშაბათს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ გაუმართა თავის უწინდელს წინამძღოლს თ. დ. სუმბათიშვილს. ასორმოცამდე თავადი და აზნაური დაესწრო ამ სადილზედ „ვაზას“ ბაღში; მრავალი თანაგრძნობის სიტყვა წარმოითქვა, მრავალი კაი სადღეგრძელო დაილია და სალამო-ჟამზედ მთელმა საზოგადოებამ გააცილა თავადი დავით მის სადგურამდე ზურნით, საზანდრებით და მილიციონერების ორპირული სიმღერით.

თავადი დავით სუმბათიშვილის სადღეგრძელოს დუდუკის შემდეგ ამ სადილზედ, წაკითხულ იქმნა შემდეგი წერილი თბილისის მაზრის კეთილშობილთა წინამძღოლის ლუარსაბ მალალაშვილისა:

მოწყალეო ხელმწიფევ,

თავადო დავით ალექსანდრეძევ!

ექვსის წლის განმავალობაში მე ვიყავი თქვენი თანაშემწე საზოგადო საქმეებში, რომელთა მეთაურობა თავად აზნაურობამ მოგვანდო ჩვენ. საქვეყნოდ შემიძლია აღვიარო, რომ თქვენ მუდამ ბრძანდებოდით დაუზარებელი და გულწრფელი მშრომელი იმ სარბიელზე, რომელზედაც სამოქმედოდ გირჩევდათ ხოლმე საზოგადოება: თქვენ არ დაგიზოგავთ არც ძალა, არც ღონე, არც მეცადინეობა ღირსეული სამსახური გაგეწიათ თქვენის ქვეყნისთვის, პატიოსნად აღგესრულებინათ თქვენი მოვალეობა; გულმხურვალეობით იყო აღბეჭდილი ყოველი თქვენი მოქმედება.

დარწმუნდით, თავად-აზნაურობა აფასებს თქვენს სამსახურს, თქვენს ღვაწლს, რომელსაც, იმედია, მომავალშიაც არ მოაკლებთ.

ყოველ გვარ უბედურობისა და მწუხარების მიზეზი, რომელნიც ოდესმე მოვლენიან ჩვენს ქვეყანას, ჩვენი განცალკევება ყოფილა; უთანხმოება და განხეთქილება გვასუსტებდა—ახლა ერთობამ უნდა გაგვამაგროს. მხოლოდ იგია ჩვენი ფრთების ამსხმელი, ჩვენის დაცემულის მდგომარეობის აღმადგენელი.— დღეს ისეთი დრო გვეწვია, რომ მხოლოდ ერთობით შეგვიძლია ჩვენი ბედ-იღბალი წაღმა დავაბრუნოთ,—და ამ საწადელს მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა თვითეული ჩვენთაგანი ერთმანერთს ზურგს გაუმაგრებს, მხარს დაუჭერს. ეს არის ჩვენი ზნეობითი მოვალეობა შთამომავლობის წინაშე.

თვრამეტის წლის თავად-აზნაურობისადმი სამსახურმა წინამძღოლის თანამდებობაში დიდი გამოცდილება შეგძინათ; ამის გამო თქვენი მხურვალე მონაწილეობა ყოველ საზოგადო საქმეში ფრიად ძვირფასია.—მე, ვითარცა თქვენი უახლოესი ამხანაგი და თანაშემწე, ვარ მოწამე, რომ მხოლოდ თავად-აზნაურობის სარგებლობა და ქვეყნის სიკეთე იყო თქვენის მოქმედების სახელმძღვანელი.—მაშასადამე, თუ დღეს საზოგადოებამ ახალს საქმეს ახალი კაცი მიუჩინა, ეს მაინც ვალს არა გხდისთ, მოაკლოთ თქვენს ქვეყანას დიდის ხნით შეძენილი გამოცდილება და პატიოსნებით აღვსილის თქვენის გულის სიწრფელე.

ჩემის უბედურობისა გამო ვაკლდები იმ ნადიმს, რომელსაც მართავს დღეს მადლიერი თავად-აზნაურობა თქვენდა პატივსაცემად, ვაკლდები სიამოვნებას პირადად გამოგიცხადოთ ჩემი გრძნობა, გამოწვეული თქვენის წარსულის სამსახურით საზოგადოებისადმი.

მარად თქვენი გულითადი პატივის მცემელი თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

ლუარსაბ მალალაშვილი.

## „დროების“ კორესპონდენცია.

**ქუთაისი**, მაისს 14-ს.—ბანკის კრება დაიწყო მაისის 10-ს, სხდომები გამართული იყო ბანკის დარბაზში და საკმაოდ ხალხი დაესწრო.

ბანკის გამგეობის მოხსენებიდამ სჩანს, რომ ბანკის დაარსებიდამ რვა წლის განმავლობაში გაცემულია ხანგრძლივი სესხი 4,261,200 მანათისა. აქედგან 1,006,800 მანათის სესხი არის გაცემული სოფლის მამულებზე, ხოლო 3,254,400 ქალაქის მამულებზე. ბანკისთვის ყველა წლებზე უფრო საზიანო წელიწადი ყოფილა 1884. ამ წელიწადს ბანკს უზარალია 56,699 მან. და 12 კაპ. საანგარიშო წელს ბანკს ჰქონია მოგება 97,625 მან. და 95 კაპ. აქედამ რომ გამოვრიცხოთ ზარალი და ბანკის ხარჯები, წმინდა მოგება იქმნება 13,154 მან. 81 კაპ., რომლის 50%, თანახმად ბანკის წესდებისა, უნდა გადიდვას ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ანგარიშის დამტკიცებამ გამოიწვია დიდი ბაასი. ზოგიერთებმა ბევრი მკვახე სიტყვები სტყორცნეს გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს. ბ. კ. ლორთქიფანიძე ესარჩლებოდა ბანკის გამგეობას და ბანკის ზარალის ბრალს აძებდა მთელ ბანკის საზოგადოებას. გულ-გრილად ვეკიდებით საზოგადო საქმესაო—ამბობდა ორატორი.—იმ მამულების ყიდვას, რომელიც ბანკს დარჩა, თქვენი შიშით და მუქარით ვერვინ ჰბედავსო.

ოხუნჯობაც ბევრი გახლდათ სხდომის დროს. ქართველის ბუნებას არ უდგება ერთ-ფეროვანი მდგომარეობა. ზედამხედველ კომიტეტს უჩივოდნენ, რომ ზოგს მეტს ფულს აძლევს და ზოგს ნაკლებს, ესე იგი კომიტეტი მიდგომით მოქმედობსო. წამოდგა ბ. ანტონ ლორთქიფანიძე და ამაზედ უპასუხა: „ბატონებო! არ მიკვირს თქვენგან! რომ მართლა ასე იყოს, შვიდი წელიწადის წევრად ვარ ზედამხედველი კომიტეტისა, და ერთი მიბრძანეთ—ჩემზე უფრო ადრე ვინ მოასწრობდა რამდენიც მსურდა ფულების წაღებას.“ სიცილი და ხარხარი ასტეხა ამ სიტყვებმა.

არ იყო ეგრეთვე ურიგო თ. ვარდენ წერეთლის სიმახვილე, რომელმაც ეგრეთვე სიცილი აღძრა საზოგადოებაში. გამგეობას ბრალს სდებენ—ცუდად უვლის დარჩენილ მამულებსაო: ერთი ყანიდამ მთლად ერთიანად სიმინდი მოუპარავთო. თ. ვარდენ წერეთელი, რა მოისმენს ამას, ადგება დინჯად, გადახედავს ხალხს და ხელის გაშლით იტყვის: „დღეს სიმინდი მოგვპარეს, ხვალ ღომსა და პურს მოიპარავენ, და შემდეგ რაღა დარჩა მოსაპარავი? რასაკვირველია, ფულები!“

ყველაზე უფრო საყურადღებო, ჩვენის აზრით, იყო შემდეგი გარემოება: ზედამხედველ კომიტეტს მიუცია სტუდენტებისათვის 400 მანათი, თუმცა შარშან კრებამ სტუდენტებს შემწეობა მოუსპო. კომიტეტისაგან ფულების გადასვლამ დიდი ყაყანი გამოიწვია და ბევრი თხოულობდა—კრებას განკიცხვა და საყვედური გამოეცხადა ზედამხედველი კომიტეტისათვის. კრება მეტად დახვეულად მოიქცა ამ შემთხვევაში. საყვედური არ გამოუცხადებია. ან რა სასაყვედურო იყო, როცა კომიტეტმა განაცხადა თავის ჯიბიდამ გარდახდა ამ ფულისა, თუ კრება მას არ შეიწყნარებდა. მერმე რაზე დაიხარჯა ეს ფული? კეთილ საქმეზე, მეტს ხომ არაფერზედ.

ბევრი რაღა გავაგრძელო: სამი სხდომა ამაებზედ მოუნდა და ბოლოს ანგარიში, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, დამტკიცდა. კიდევ, აი, რა დამავიწყდა მეთქვა: ბანკის გამგეობის აზრით უმთავრესი მიზეზი, რომელმაც ავნო ბანკის მოქმედებას, არის, როგორც საზოგადო ეკონომიური გაჭირება, ეგრეთვე ბ. ფინანსთა მინისტრის განკარგულება ბანკიდამ სესხის გაუცემლობაზე.

დანარჩენ სხდომებზედ განიხილეს და მიიღეს ხარჯები მომავალი წლისა გამგეობაზე და სააზნაურო სკოლაზედ. *) ბევრი სიტყვა დაიხარჯა ჩვენი ორატორებისაგან ამ დროს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ მოვგვყავს მათი ნათქვამი. ზოგი დაბლა ლაპარაკობს, ზოგი ჩქარა ამხაპუნებს და ზოგს ენა ებორკება. ამას დაუმატეთ ზუილი და ხმაურობა, და მაშინ დამერწმუნებით-თუ რა ძნელია გულ-დასმით თვალის დევნა ბაასისა კრებაზე: ერთმა გარემოებამ-კი სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონია ჩვენზედ: თავად-აზნაურთ გულ-წრფელმა ზრუნვამ სკოლის წარმატებაზე ჭეშმარიტად გულს უხარის, რომ ზოგიერთების მანქანება და ხრიკები სკოლის წინააღმდეგ არ სრულდება.

ეხლა დარჩა ერთი დირექტორის ამორჩევა, რადგანაც ბ. ფაღავა სტოვებს დირექტორის თანამდებობას. სამს კანდიდატს ასახელებენ. აი, ეს კანდიდატები: ივანე მესხი, ივანე ჯაიანი და ივანე გეგიძე. ნეტა რომელს შეეწევა ალასი?

ქუთათური მემატიანე.

*) დღეის იქით სააზნაურო სკოლაში სავალდებულოა 24 გაკვეთილი 900 მან. და არა 18, როგორც დღემდის იყო.

ავტ.

## უცხოეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინგლისი და რუსეთი.** როგორც მოსალოდნელი იყო უმეტესი რიცხვი ინგლისური გაზეთებისა უკმაყოფილოდ შეხვდენ გენ. კომაროვისა და პოდპოლკოვნიკის ზაკრჟევსკის ესე უხვად დაჯილდოვებას. ეს გაზეთები იწერებიან, რომ ამ გვარი დასაჩუქრება რუსის სარდლებისა იმ დროს, როდესაც მორიგებით ჰსურთ ორთავე მოდავე სახელმწიფოთ საქმის გათავება, ძლიერ შეაფერხებს ამ მორიგებისათვის გამართულს მოლაპარაკებას, ხელს შეუშლის მას დაავნებს რუსეთისა და ავღანის შორის დიპლომატიურს დამოკიდებულებასაო.

ინგლისის ზემო პალატას აუარებელი მტრები აღმოუჩნდენ ამ უკანასკნელ ხანებში. ლაპარაკობენ მისს სრულიად მოსპობაზედაც. „სახალხო ლიგის“ კრებაზე პალატის წევრის ლაბუშერის თავს-მჯდომარეებით, ერთმა წევრმა ლიგისამ განაცხადა, რომ მოხსენებული პალატა რამდენიმე საუკუნეა, რაც არსებობს და ერთჯერ არ შემოუღიაო ქვეყნისათვის სასარგებლო წესი, დადგინება; რომ უმრავლესობას ამ პალატისას ტორიები შეადგენენ და ეს გარემოება უფრო უშლის ხელს ხალხის სურვილის დაუბრკოლებლად შესრულებასაო. ერთს ორატორს კიდე ისიც უთქვამს, რომ ინგლისის მმართველობა ადრე თუ გვიან რესპუბლიკალურად უნდა გარდიქცესო. კარგა ხნის გაცხარებული ბაასის შემდეგ, კრებას დაუდგენია ორი გარდაწყვეტილება: ა) რომ ზემო პალატა უსარგებლოა, სასაშიშროა და უნდა გაუქმდეს, და ბ) რომ ყველა რადიკალებმა და ლიბერალებმა პარლამენტის ამორჩევების დროს ამოსარჩევ პირს უნდა მოსთხოვონ, რომ იგი თანახმა იყოს ჩამომავლობითი ზემო პალატის გაუქმებისა.

არგაილის ჰერცოგის ერცელმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებაზედ. გაზეთები უმეტესად ალაშფოთა ჰერცოგისაგან გამოთქმულმა აზრმა, რომ საშუალო აზიაში თუ რუსეთი წინ მიდის თავის უნებურად, თუ-კი თვით მას არ შეუძლიან ეწინააღმდეგოს ამ წინ-წაწევას—მაშ ინგლისი ტყუილად ნუ იფიქრებსო შუა გზაზედ გადაელობოს მასაო—დაუმატნია ჰერცოგს. არგაილის ჰერცოგის სიტყვას შეეხება Daily News-ი და ამბობს: „ჰერცოგმა სხვათა შორის, გამოსთქვა თვის სიტყვაში, რომ საშუალო აზიაში რუს-ინგლისის საზღვრების ერთმანეთზე მიკედლება უფრო სასარგებლო იქმნება ორთავე სახელმწიფოთათვის, ვინემ მათ სამფლობელოთა შუა თავისუფალის ავღანის დატოვებაო. მაგრამ ჩვენის ეხლანდელის დამოკიდებულების გამო ავღანის ემირთან ეს აზრი არგაილის ჰერცოგისა ფუჭ-ოცნებად ხდება. ჩვენ მოვალენი არა ვართ ყოველს შემთხვევაში ხელი გაუწევდინოთ ემირს, მაგრამ სანამ მას თვისი აწინდელი მმართველო-

ბა არ შეუცვლია, სანამ ინდოეთის მმართებლობისაგან თოფ-იარაღსა და ფულს იღებს ხოლმე, სანამ გარეშე პოლიტიკაში საჭიროებს ბრიტანიის რჩევას, მანამ დახმარებაზე ჩვენ უარს არ ვეტყვით მას. ჩვენ შეგვიძლიან გაუწიოთ მას დახმარება ისე, რომ მცირე რაზმსაც არ გაუგზავნით ინდოეთის ჯარისაგან. ემირის სრულის თანხმობით რამოდენიმე ინგლისელი აფიცრები ამაგრებენ დღეს ჰერათს. ჰერათის გარდა სხვა ადგილებსაც ამაგრებენ იმავ ინგლისელ აფიცრების ხელმძღვანელობით. ამ აფიცრების შემწეობით ემირს შეუძლიან თვისს მხედრობაშიც დიდი ცვლილება მოახდინოს. ემირის ქვეშევრდომთ კარგად უწყიან ეხლა, რომ ინგლისს მათთვის სიკეთე ჰსურს, რომ იგი არა სცდილობს დაიჭიროს თუნდ ერთი კვალიც ემირის სამფლობელოისა, მაშინ როდესაც ეს ქვეშევრდომნი ძალიან შეაფიქრა რუსებისაგან პენჯდეს მიდამოს დაჭერამ“...

— „ჰავასის სააგენტოს“ სწერენ კალკუტიდამ: როგორც აქ გავრცელდა ხმები ლონდონში შედგენილის პროექტში, ავღანის საზღვრის თაობაზედ, შემდეგის ცვლილების მოხდენა მოუთხოვია რუსეთს: ა) იგი თხოულობს დაეთმოს მას მერუჩაკი, როგორც პენჯდეს მიდამოში მდებარე ადგილი, და ბ)—რომ ზულფიკარის მახლობლად საზღვარი სამხრეთით იქმნეს გაყვანილი და ამ საზღვარს შიგნით დარჩეს თურქმენთათვის საძოვარი ადგილები. ემირი არ თანხმდება ამ ცვლილებებზე. ეხლა საქმე იმაშია, რას ურჩევს ინგლისი ემირს.

— თეირანიდამ სწერენ ნემეცურს გაზეთებს, რომ რადგან ამ უკანასკნელ ხანებში საქმე მშვიდობიანად დატრიალდა და რუსეთმაც და ბუხარის ემირმაც წინადადება მისცეს სპარსეთს—შაჰის მმართებლობას განზრახვა აქვს განათავისუფლოს ავღანის ტახტის მოცილე ეიუბ-ხანი.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 12-ს.

**როსტოვი.** გუშინ მეთორმეტე ვერსტზედ როსტოვიდამ ვორონეჟში მიმავალის მატარებლის სამი ვაგონი მესამე კლასისა და ბარგისა დაიმსხვრნენ, ოცამდის პასაჟირი დაშავდა, მაშინისტის თანაშემწე და კოჩეგარი დაიხოცნენ.

**სიმლა.** ინდოეთის ჯარის მეორე კორპუსს გამოუცხადა, რომ საომრად მომზადება საჭირო აღარ არისო.

**პარიჟი.** ანარხისტის კურნეს დამარხვის დროს და შემდეგაც პოლიციასთან რამდენჯერმე შეტაკება მოხდა, ბევრნი დაატუსაღეს; ანარხისტებმა ხელახლად მოახდინეს დემონსტრაცია კომუნარის ამურეს დამარხვის დროს.

**ბერლინი.** აქ მოსულმა, როგორც ამბობენ პოლიტიკურის მინდობილობით, ლორდმა როზბერიმ სთქვა, რომ რუსეთთან მორიგებას იგი გათავებულად სთვლის, თუ რომ რუსეთი იმაზე მეტს არაფერს მოითხოვს, რასაც პირველად თხოულობდაო.

მაისის 14 ს.

**პეტერბურგი.** „ბირჟის უწყებანი“ გვაცნობებს, რომ სახემწიფო რჩევამ დაადგინა დაედოს ბაჟი ფულის კაპიტალს შემდეგის ქაღალდებისას, რომელნიც სამზღვარ გარეთ არიან წარმოებაში: ობლიგაციებს, ორივე მინაგანს მომგებიანს სესხის ბილეთებს, გირავნობის ფურცლებს ურთიერთშორის საადგილ-მამულო კრედიტისას რკინის გზების 5% ობლიგაციებს: ბალტიისას, ბრესტ გრაევსკისას, ხარკოვ-აზოვსკისას, ელეცკო-ორლოვისას, ელეცკო-ვორონეჟისას, ლოზოვო-სევასტოპოლისას, მოსკოვო-სმოლენსკისას, ფოთი-თბილისისას, რიბინსკობოლოგოვსკისას 1 და 2 გამოც., ვარშავო-ვენისას 2-დამ ექვსამდის გამოცემულს და ცარსკო-სელსკისას; განთავისუფლებულ არიან სესხები: 1822, 1854, 1855, 1859, 1862, და 1877 წლებისა, ყველა შვიდივე გამოცემანი რკინის გზებისა, ოქროს რენტა, ობლიგაციები გზებისა: ამიერ კავკასიისა, ვლადიკავკავკისა, უმთავრესი საზოგადოებისა და სხვებისა.

მაისს 15-ს.

**პეტერბურგი.** დღეს მათი იმპერატორებითი დიდებულების გვირგვინის კურთხევის დღესასწაულობის გამო, გადახდილ იქმ ისაკის სობოროში ბრწყინვალე წირვა.

დღეს გახსნეს პეტერბურგის ზღვის არხი.

სამხედრო უწყებისადმი ბრძანებაში გამოცხადებულია ხელმწიფის ახალი წყალობა, რომელიც ამტკიცებს მათს დაუშინარს მზრუნველობას ჯარებზედ: რაზმში მყოფთ (строевой) შტაბ და ობერ-აფიცრებს და მდაბალ სამხედრო ჩინებს ეძლევათ ნება,—ნახევარ ფასად იარონ საიმპერატორო თეატრებში მოსკოვში და პეტერბურგში.

**პარიჟი.** პალატამ 423 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 44 უარ ჰყო წინადადება რადიკალის ლაკრუასი, რომელიც ამტკიცებდა წითელი დროშების აღკრძალვის უკანონობას და ჰკიცხავდა პოლიციას, რომელმაც მიიღო ზომები კომუნართა დემონსტრაციის დასამშვიდებლად. შემდეგ პალატამ 988 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 101-სა გამოაცხადა რწმუნება მართებლობისადმი, რომელიც გამოიჩენს საკმაოს სიმტკიცეს, და ეროვნული დროშას ყველასაგან პატივისცემას დაუმსახურებს.

# ცნობანი

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მაისიდამ 15 მაისამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა | 1 | გირ. | 5 კ. |
| ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | 1 | გ. | 2½ |
| მეორისა | 1 | გ. | 2 კ. |

იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | 1 | გ. | 4½ |
| მეორისა | 1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა | 1 | გ. | 2½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | 4½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 3½ |
| მესამისა | 1 | გ. | 3 კ. |

მროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა | 1 | გ. | 7 კ. |
| სუკი | 1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 | გ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | |
| მეორისა | 1 | გ. | |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო ხაშურამდის 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამზე დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ დილით.)

ქუთაისიდამ თბილისისკენ 12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს 53 წ. დილ.)


# განცხადებანი

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება რვა-მანეთიდამ ათ მანათამდე, ქაღალდის ღირსებაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი
(25—18) გ. ქართველიშვილი.

მოსკოვში, პეტერბურგში და სამზღვარს გარედ წასვლის გამო მ. ცეიტლინის მაღაზიაში, რომელიც სასახლის პირ-და პირ იმყოფება, დანიშნულია მაისის 12-დამ ივნისის 1-დე გაყიდვა

## დაკლებულის ფასებით

მრავალის ოქროს და ვერცხლის საათებისა, რომელნიც პირად მე გავაკეთებინე ჟენევის საუკეთესო ფაბრიკების, ფრანცუზულის და ნემეცურის კედლის და სტოლის საათებისა, ამერიკული გამღვიძებლებისა, შვეიცარიულის საკრავის კოლოფებისა, მშვენიერის ხელოვნების ოქროს, ვერცხლის და ბრილიანტის ნივთებისა, აგრეთვე ოქროს, პლატინის, და ვერცხლის ოქროთი და ვერცხლით დაფერილი და მეტალის ძეწკვებისა.

ნივთების კარგს ღირსებასა და სიიაფეზედ საზოგადოება თვით დარწმუნდება (საათები გაიყიდება იმ პირობით, რომ ხუთი წლის განმავლობაში სწორედ ივლიან). (5—4)

ცნობილი თავის თვისებით განარიდოს სხეულის ნაწილებს ოფლი, განსაკუთრებით ფეხის თითებს.

## გალმანინი

იყიდება აფთიაქებში, აგრეთვე ევროპის დიდი სახემწიფოს ყველა ქალაქების მეწვრიმალეებთან. უმთავრესი დეპო იმყოფება ვარშავაში თვით გამომგონელს, აფთიაქის მქონე ფარმაციის მაგისტრს ვ. კარპინსკისთან, ელექტორალის ქუჩაზედ, № 350. დიდი კოლოფი გალმანინისა ღირს ვარშავაში 50 კაპ., პატარა 30 კაპ.

ერიდეთ სიყალბით გაკეთებულს

და მოითხოვეთ, რომ ყველა კოლოფთან დარიგების ფურცელი იყოს, თუ როგორ იხმარება და პატიჟის გამომგონის მედალი.

ვ. კარპინსკი, ფარმაციის მაგისტრი. (10—2)

ქაღა მოკლე

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592).

(46—13)


*Доз ценз. Тифлисъ, 16 Мая 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.